



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87. 87223414
თარიღი:07/12/2022

განკარგულება №51

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფ/პ [redacted] გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4-მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის [redacted] პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა, სამუსიკო წრის ფუნქციონირების მიზნით.
- დამტკიცდეს განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული უძრავი ქონების:
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასური - 352 (სამასორმოდატორმეტი) ლარის ოდენობით;
 - სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 წელი.
- განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

